შიდა ქართლი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (9.791)
31 ივლისი–5 აგვისტო 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს სასწრაფო დახმარების ცენტრს ახალი შენობა ექნება

გ 3 . 3

გ3.6

დედოფლისწყარო C ჰეპატიტის რისკის ზონაში შედის?!

დედოფლისწყაროში სოციალური პაკეტი გაიზარდა

გ3.3

ელიას მთა გაწმენდილია, ზაძარი მრევლს ელის

გ3.3

„რბილი ძალის“ გავლენა ცნობიერებასა და საზოგადოებრივ აზრზე

გ 3 . 4

გ3.5

საჭიროა თუ არა მეორე რეზერვუარი?

C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

1. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო	ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი გამარჯვება	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.05.32.028	80 კვ.მ.	800	10%	5%	100
2	ქალაქი დედოფლისწყარო. ჰ. გონაშვილის ქუჩა N3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.33.144	25 კვ.მ.	550	10%	5%	100
3	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ქედი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი კორპუსი	52.09.33.004	1132 კვ.მ. (განაშენიანების ფართი 784 კვ.მ)	22000	10%	5%	100
4	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	52.10.31.099	786 კვ.მ (განაშენიანების ფართი 139.92 კვ.მ)	1200	10%	5%	100

2. აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური	ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ხორნაბუჯი (ბალკა)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საძოვარი)	52.31.31.001	800 000 კვ.მ	2240	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

საჯარო აუქციონი პირველ ლოტზე გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე, მე-2 ლოტზე -1415 სთ-ზე; მე-3 ლოტზე -1430 სთ-ზე; მე-4 ლოტზე -1445 სთ-ზე;

საჯარო აუქციონი სარგებლობის უფლებით (იჯარით) ქონების გადასაცემად გაიმართება 1500 სთ-ზე;
მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

- კოდი - 300533390 (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი),
- კოდი - 300533325 (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით);
- კოდი - 300533047 (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) იჯარა);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

დედოფლისწყაროს სასწრაფო დახმარების ცენტრს ახალი შენობა ექნება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურულ საპროექტო წინადადებებში ცვლილებებია – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 607 000 ლარი გამოყო. ამ თანხით მიმდინარე წელს სოფელ ხორნაბუჯში, კოსტავას ქუჩაზე მოხდება ბოგირის რეაბილიტაცია და მოეწყობა ასფალტის საფარი. ასფალტის საფარი მოეწყობა გელოვანის ქუჩაზეც. აღნიშნული პროექტებისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი თანადაფინანსების სახით 32 000 ლარს დახარჯავს. ქუჩების მოწყობისთვის ჯამში 639 000 ლარია გათვალისწინებული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილება საკრებულოს სხდომაზე შევიდა. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ პაპიაშვილმა წარადგინა. ცვლილებას საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურულ საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 დეკემბრის N84 განკარგულებაში შევიდა, ქ.დედოფლისწყაროში ,,სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ შენობის მშენებლობას ეხება. ცენტრის შენობის პროექტის ღირებულება 161 545 ლარს შეადგენს და ის 2017 წელსვე დასრულდება. ამ ეტაპზე დაჩქარებული წესით მშენებლობისათვის ადგილის შერჩევა მიმდინარეობს.

ელიას მთა გაწმენდილია, ტაძარი მრევლს ელის

გასულ წელს ელიის მთიდან მოწყვეტილმა ლოდმა ილია თეზბიტელის სახელობის VI საუკუნის ნაფუძვარზე აღდგენილი ულამაზესი ტაძრის შესასვლელი დააზიანა და ჩახერგა, შეწყდა ტაძრის ფუნქციონირება, აიკრძალა ელიის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტების და მრევლის მოძრაობა. საკითხით როგორც საპატრიარქო, ასევე კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი მალევე დაინტერესდა. დაიწყო ტერიტორიის შესწავლა. ამ ფაქტს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა საზოგადოებაში: ერთნი ამბობდნენ, იმდენად საშიშია და რღვევადი პროცესი მიდის, შეიძლება მთელი მთა ააფეთქონო, ზოგნი ამბობდნენ, სულ რკინებით და დამცავი ბადეებით უნდა გაამაგრონო. ერთი სიტყვით, მრევლი ღელავდა. ელიაობის მოახლოებულ დღეებთან დაკავშირებით კი უფრო ინტენსიური გახდა კითხვა– არის თუ არა უსაფრთხო ელიის მთა და ჩატარდება თუ არა ჩვეული გრანდიოზულობით ეს დღესასწაული? ამ კითხვით ჩვენ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს, **მეუფე დიმიტრის** მივმართეთ.

– ელიის მთაზე გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა და დღეისთვის, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ საშიში აღარაფერია. კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა გამოყო თანხები, დაიქირავა ალპინისტთა ჯგუფი, რომელმაც მთიდან ყველა მორყეული და ძვრადი ლოდები ჩამოყარა. შემდეგ ადგილობრივი ძალებით ამ ნამტვრევებისგან ტერიტორიის გასუფთავება მოხდა და დღეისთვის ტაძარი მზად არის, ჩვენი ორგანიზებით იდღესასწაულოს რაიონისთვის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ბრწყინვალე დღე, როდესაც, ტრადიციულად, მთელი რაიონი – წასული თუ ადგილობრივი ადამიანი, ერთად იყრის თავს და ზეიმობს. ყველას ვულოცავ ელიაობას, მრავალს დაესწარით, ღმერთმა დაგლოცოთ.

როგორც მეუფემ გვითხრა, ელიის მთაზე სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ამ მონასტრის წინამძღვარი მამა პანტელეიმონი მღვდელ-მონაზონ სერაფიმესა და ბერ ბართლომესთან ერთად. ჩვენ მამა პანტელეიმონსაც დავუკავშირდით:

– ნამდვილად დიდი და მძიმე სამუშაო შესრულდა ელიის მთის გასაუვნებელსაყოფად. ალპინისტების მიერ ჩამოყრილი ლოდების დამსხვრევა და მისი გაზიდვა ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ ხომ იცით, ძალა ერთობაშიაო და ჩვენც ურთიერთმხარშიდგომით შევასრულეთ ეს სამუშაო. ერთგულად გვიდგნენ მხარში და ამ გაუსაძლის სიცხეში თავს არ ზოგავდნენ ახალგაზრდები: ლაშა ლათიბაშვილი, გიგა ჩაფიაშვილი, გიგა ფხოველიშვილი, ირაკლი მენთეშაშვილი, ერეკლე ჩერქეზიშვილი, გიორგი პაპუაშვილი, აკაკი კოტაშვილი, რეზო გონაშვილი. დიდი მადლობა მათ. მადლობა დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს, რომლის დახმარებითა და უშუალო ჩარევითაც მოხდა ამ საქმის ორგანიზება. სამუშაოს მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა და დაათვალიერა ის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. ასე რომ, ყველაფერი კარგადაა და მონასტერი ჩვეულებრივად იფუნქციონირებს: 23 ივლისს, კვირა დილის წირვა უკვე ჩატარდა, შაბათის საღამოს ლოცვები და კვირის წირვა, აგრეთვე, მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულებისადმი მიძღვნილი რიტუალები აქ ჩვეულ რეჟიმში ჩატარდება. რაც შეეხება ელიაობას, სამშაბათს საღამოს ლოცვა და ღამისთევა, ხოლო ოთხშაბათს დილით, 8 საათზე წირვა იქნება. მრევლს შეუძლია, ყოველგვარი შიშის და ეჭვის გარეშე, ეწვიოს მონასტერს და მოილოცოს. იმის გამო, რომ ელიაობის დღესასწაული ოთხშაბათ დღეს მოდის, ის მარხვით აღინიშნება. ღმერთმა დაგლოცოთ, მრავალს დაესწარით!



ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მოგილოცოთ ელიაობა, ხვავი და ბარაქა არ მოგვაკლოს მისმა მადლმა და ძალამ. ბედნიერ ელიაობას გისურვებთ.

ნაირა გორაშვილი

სოციალური პაკეტი გაიზარდა

28 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა.

საკრებულომ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილება შეიტანა. კერძოდ, სკოლამდელი განათლების დაფინანსება 110 ათასი ლარით გაიზარდა. ასევე, 40 ათასი ლარი დაემატა სპორტული მოედნების რეაბილიტაციას, ცვლილება სოფელ არხილოსკალოს სპორტული მოედნის კეთილმოწყობას ითვალისწინებს. სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებისთვის კი ბიუჯეტი 3,5 ათასი ლარით გაიზარდა. აღნიშნული თანხა დედოფლისწყაროობის ტრადიციულ დღესასწაულზე საპატიო დედოფლისწყაროელებს გადაეცემა.

საკრებულომ კენჭი უყარა და დაამტკიცა ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2017 წლის პროგრამის, პროგრამის ბიუჯეტისა და რეალიზაციის ვადის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 2017 წლის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებაში შესატანი ცვლილები. აღნიშნული ცვლილებები გულისხმობს ზემოთხსენებულ დადგენილებაში ჩანაწერის -,,მარტოხელა დედა“ შეცვლას ჩანაწერით ,,მარტოხელა მშობელი“. ამით ხელი შეეწყობა გენდერული პრინციპების განხორციელებასა და დისკრიმინაციული ნორმების დაცვას.

იგივე დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების დასრულების შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებასაც, რაც განსაზღვრულია ერთჯერადად 300 ლარით. აქამდე მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები გულისხმობდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა სარიტუალო მომსახურებას.

დადგენილების მეორე დანართში შეტანილი მორიგი ცვლილების თანახმად კი მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი გეგმიურად გათვალისწინებული 55 ათასი ლარი 6 ათასი ლარით გაიზარდა, რამაც ჯამში 61 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ცვლილება შიდა მუხლობრივად განხორციელდა, რასაც ბიუჯეტის ცვლილება არ გამოუწვევია.

სხდომაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა მოისმინეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში. აღინიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გეგმა შესრულებულია 113, 4 პროცენტით, რაც საკრებულომ დადებითად შეაფასა.

„რბილი ძალის“ გავლენა ცნობიერებასა და საზოგადოებრივ აზრზე

პროპაგანდა თანამედროვე მნიშვნელობით ადამიანების ცხოვრებაში მეოცე საუკუნეში გაჩნდა და ის გულისხმობს ფართო მასებში ინფორმაციის გავრცელებას ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც ემოციურად ეხება ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესებსა და დამოკიდებულებებს. პროპაგანდისტული ინფორმაციის ნაკადი ხასიათდება ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტაციის სიმცირით, გაზვიადებით, დაკნინებით და რაც მთავარია, უხეში განზოგადებით. მისი, როგორც მძლავრი პოლიტიკური ინსტრუმენტის მიზანი, მოსახლეობის კრიტიკული რაოდენობის აზროვნების მიმართულების ხელოვნურად განსაზღვრის მცდელობაა.

ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დროს პროპაგანდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ იარაღად გამოიყენებოდა. ცხადია, რომ პროპაგანდისტულ სვლებს და ინფორმაციის წყაროებს ამოცნობა სჭირდება, რაც არცთუ ისე რთულია გონიერი, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანისთვის, თუმცა, ისიც არ უნდა დავივიწყდეს, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ინფორმაციის გავრცელების ტემპი და ინტენსიურობა ზოგჯერ, უნებურად, ავტომატურად გვიქმნის წარმოდგენას ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე.

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს რეფორმების ასოციაციის საინფორმაციო-ანალიტიკურმა პლატფორმა factcheck.ge-მ საკმაოდ საინტერესო ანალიზი გამოაქვეყნა უკანასკნელ პერიოდში გამართულ „ქართულ მარშთან“ დაკავშირებით.

სტატიაში არგუმენტებსა და სხვადასხვა გმოცდილებებზე დაყრდნობით, ძალიან ცხადად და გასაგებად არის წარმოჩენილი ის ტექნიკა და მეთოდები, რომელსაც პროპაგანდა იყენებს. მკითხველის გარკვეული ნაწილი შესაძლოა, მიიჩნევდეს, რომ ფორმით მშვიდობიანი აქცია, რომელზეც არაერთ „პატრიოტულ“ ფრაზას გაიგონებდით, სწორედ ეროვნული, ქართული ინტერესების დაცვას ემსახურება და არაფერი აქვს საერთო რუსული პროპაგანდის მოქმედებასთან. სინამდვილეში, ისტორია და ფაქტები სულ სხვაგვარია. დავიწყოთ იქიდან, რომ ნაციონალიზმი, როგორც მოვლენა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გადაფასდა, როგორც ღირებულება და ის ხშირად, შუღლისა და სიძულვილის გამღვივებელ იარაღად აღიქმება. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში ნაციონალისტური დაჯგუფებები და მათ შორის, რადიკალურიც, დღესაც არსებობს.

ამავდროულად, ნაციონალისტური არცერთ შემთხვევაში არ იგივდება ეროვნულ ინტერესთან, როგორც ამის მცდელობას ხშირად ვაწყდებით. ეროვნული ინტერესი სახელმწიფოებრივის იდენტურია და მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნების ჩათვლით, გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებისა და პროგრესის თანმიმდევრულ და განუხრელ დაცვას.

პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი საშუალება სტერეოტიპიზაციაა, ანუ ერთი მაგალითის განზოგადება. ამ დროს, პროპაგანდის შემოქმედი ერთ კონკრეტულ უარყოფით შემთხვევას აიგივებს იმ ჯგუფთან, რომლის დისკრედიტაციასაც ისახავს მიზნად. მაგალითისთვის, არასრულწლოვანთა გარყვნაში ბრალდებულ ინდოეთის მოქალაქის ქმედების შესაფებისას, „გამრყვნელად“ და მოძალადედ ინდოელების, პაკისტანელებისა და ირანელების მოხსენიებაა. შედარებისთვის, მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქეები არაერთხელ ყოფილან მხილებულნი სხვადასხვა დანაშაულებში ევროპის ქვეყნებში. წარმოიდგინეთ, მთელი ევროპა ან ის ქვეყნები, რომლებშიც ჩვენი თანამემამულეები ამგვარ ქმედებებს ჩადიან, წესიერ, კეთილსინისიერად მშრომელ და განათლებულ ქართველებსაც იმავე დამოკიდებულებით რომ გვხვდებოდნენ, როგორც კრიმინალებს. წარმოიდგინეთ, თქვენი სასწავლებლად ან სამუშაოდ წასული პატიოსანი ოჯახის წევრი, ნათესავი თუ მეგობარი ზიზღის და აგრესიის მსხვერპლი რომ გახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმავე წარმოშობის ადამიანმა ზიანი მოუტანა იმ გარემოს, რომელშიც ახლა ისინი ცხოვრობენ. წარმოიდგინეთ, ევროპის რომელიმე ქვეყნის რომელიმე მაღაზიაში უწყინრად შეხვედით უწყინარი ნივთის საყიდლად და "ქურდბაცაცას“ ძახილით იქიდან გამოგაგდეს იმიტომ, რომ ოდესღაც ეს მაღაზია თქვენმა თანამემამულემ გაძარცვა, რომელსაც არც იცნობთ და რომც იცნობდეთ, მის ღირებულებებს და მორალს სულაც არ გაიზიარებდით. დარწმუნებული ვარ, საკუთარი თავის ინდოელების, პაკისტანელების, ჰოლანდიელების თუ ჩეხების ადგილზე წარმოდგენისას, აუცილებლად გავაცნობიერებთ, თუ რამდენად უსამართლო და მავნებლურია მოვლენების „სტერეოტიპიზაცია“.

პროპგანდის აპრობირებული ტექნიკაა ე.წ. მცდარი დილემა, უტოპიური არჩევანი, რა დროსაც ერთი ალტერნატივა „შავია“, ხოლო მეორე - „თეთრი“. სიტუაციის ისე წარმოჩენა, თითქოს ყველა უცხოელი უდიდეს საფრთხეს შეიცავს საქართველოს მოსახლეობისთვის, იშვიათი გამონაკლისების გარდა. არადა, სწორედ იშვიათი შემთხვევებია წარმოჩენილი მასშტაბურ და ყოვლისმომცველ საფრთხედ. სახელმწიფოს ამ დროს აქვს მხოლოდ ერთი გამოსავალი თვითმყოფადობის გადასარჩენად - „გაძევოს“ ყველა უცხოელი, რომელთაგანაც, სხვათა შორის, მარტივი სავიზო მიმოსვლისა და ბინადრობის უფლების მოპოვების მოქნილი პროცედურის გამო, არალეგალთა რიცხვი უმცირესია.

„ქართული მარშის“ მსგავსი შინაარსის მქონე აქციებზე ხშირად გაისმის სიტყვები „პროქართული“, „ქართული სული“, დასავლეთიდან წამოსული ე.წ. საფრთხეები ერის გახრწნასა და გადაგვარებაზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა - კარგად დაგეგმილი, ჩვენი საზოგადოების დღის წესრიგის ზედმიწევნითი ცოდნით, სოციალური ნეხის მოქნილად გამოყენების შედეგად, იმგვარი საკითხების აქტუალიზაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან არათუ არ გამომდინარეობს, არამედ - მისთვის მხოლოდ ზიანის მიმყენებელია. დღეს ძალიან ხშირად გაიგებთ სიტყვას „პროქართული“. ეს სიტყვა ცხვრის ტყავში გადაცმული მგლის შესანიშნავი მეტაფორაა. ქართულად შემოსილი რუსული ინტერესი, რომელიც თავის თავში მოიცავს უცხოელის ზიზღს, გარდა, ერთმორწმუნე რუსეთისა, თვითიზოლაციისკენ სწრაფვას, ქართული კულტურის რომელიმე ცივილიზაციისთვის მიკუთვნების უარყოფას, ყველაფერი ქართულის უპირობო უპირატესობის აღიარებას. ასე მოაზროვნე ადამიანებისგან ასეთი შინაარსის ნარატივი მოდის, რომ ჩვენ არ გვჭირდება არც რუსეთი და არც ამერიკა, დაახლოებით ასეთი ფორმულირება გამოიყენება და მსმენელს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ „პროქართული“ აზროვნება არც ოკუპანტთან (რუსეთის ფედერაცია) კოლაბორაციიას უჭერს მხარს და არც დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობას.

საქმე კი ძალიან მარტივადაა: სწორედ რუსული ინტერესია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის რუსეთთან გათანაბრება საფრთხის თვალსაზრისით. ეს პირველი ეტაპია, რომელსაც თანამდევ პროცესად უნდა მოჰყვეს დასავლეთის კიდევ უფრო მკვეთრი დემონიზაცია და ამის ხარჯზე, რუსეთის, როგორც ერთადერთ ძლიერ და ყველაზე უფრო „შეურყვნელ“ ერთმორწმუნედ წარმოჩენა, რომელსაც „დიდი მისია აკისრია მართლმადიდებელი სამყაროს გაერთიანების საქმეში.“

შეუიარაღებელი თვალითაც იოლად ჩანს, რომ იმ ძალის მნიშვნელობის გათანაბრება, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან, რომელიც ხელშესახები, ფიზიკური და ყოველწამიერი საფრთხეა ჩვენი ყოველდღიური მშვიდობის, განუწყვეტლივ არღვევს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ზრდის იმ „საზღვრებს“, რომელიც მისივე შემოჭრის შედეგად დადგინდა. ძალა, რომლის მეშვეობითაც, საქართველოს მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ორმაგად და სამმაგად იძულებით გადაადგილებულია - აფხაზეთიდან ცხინვალში, ცხინვალიდან ახალგორში, ახალგორიდან წეროვანში. ძალა, რომლის მოქმედებების შედეგად ადამიანები საკუთარი შვილების, მშობლების, და-ძმების საფლავებზე ვერ მიდიან და საკუთარ ბოსტანში ვაშლის საკრეფად გადასულები, რუსეთის ფედერაციის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მილიციის მიერ დაკავებულები, ზოგჯერ თვეებს ატარებენ მათ საპატიმროებში.

რუსული პროპაგანდის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე ხალხთა და კულტურათაშორისი მჭიდრო კავშირებით მანიპულირება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი და იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი მოურიდებლად საუბრობდა ქართველი და რუსი ხალხის განსაკუთრებულ კავშირსა და სიყვარულზე. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ დიახ, ქართული საბჭოური და პოსტსაბჭოური შემოქმედება დღესაც იყიდება რუსულ ბაზარზე, არაერთი საქართველოს მოქალაქე ცდილობს რუსეთში საკუთარი შემოქმედების თუ შრომის ნაყოფის რეალიზებას. ეს მათი არჩევანია და ბუნებრივია, არასწორი იქნებოდა იმ ადამიანების ქცევის მორალურ მხარეზე მსჯელობა, რომელთა უკანაც ოჯახები და არაერთი ვალდებულებაა, თუმცა, მეორე საკითხია, მათი მხრიდან საქართველოში გამოგზავნილი ე.წ. „მესიჯები“ იმის თაობაზე, რომ „კავკასია რუსეთის იმპერიის მარგალიტია“, „ვლადიმერ პუტინი კარგი პრეზიდენტია“, „ყირიმის ანექსია ეს მხოლოდ უკრაინისა და რუსეთის საქმეა“ და „კულტურა და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ“. პოლიტიკისა და კულტურის ერთმანეთისგან გამიჯვნა შესაძლებელია მაშინ, როდესაც კულტურაში მოღვაწე სუბიექტები თავად ემიჯნებიან პოლიტიკას, დამოუკიდებლად, ყოველგვარი კონფორმიზმის და პოლიტიკოსებისადმი ოდების მიძღვნის გარეშე ქმნიან ნებისმიერი სახის ხელოვნებას, მიუხედავად ჟანრისა და პოპულარულობის ხარისხისა. ამის მაგალითები, საბედნიეროდ, არსებობს.

რუსულ პროპაგანდაზე მსჯელობის სრულად ამოწურვა შეუძლებელია. ჩვენ მთავარი და მნიშვნელოვანი გზავნილების იდენტიფიცირებას შევეცადეთ, რათა მცირედით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს იმ საკითხების უფრო ცხადად დანახვაში, რაც მკითხველს თავადაც კარგად მოეხსენება.

სალომე ნატროშვილი

ევროპა – მითები და რეალობა

[illegible] ბოლოს, რაც საქართველოში ღიად აიღო ევროპისკენ კურსი, გაჩნდა უამრავი მითი, რომელიც ევროპულ ღირებულებებს აკნინებს და არამართებულად წარმოაჩენს-ევროპა ნაგვართმევს იდენტობას, დაგვიწესებს ერთსქესიანთა ქორწინებას და ა.შ. რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობს საჯარო ლექციები აღნიშნული თემის ირგვლივ მოსახლეობის ნაწილში გაჩენილი ნეგატიური კითხვების აღმოსაფხვრელად.

20 ივლისს დედოფლისწყაროში, ილიაუნის სასწავლო ბაზაში(ყოფილი მესამე სკოლა) ჩატარდა საჯარო ლექცია სათაურით „ევროპა,მითები და რეალობა“. ლექციის ორგანიზატორი გახლდათ SEED GEORGIA-ს დირექტორი, საზოგადო მოღვაწე ლევან ბუთხუზი. ლექციაზე დასწრება ჩვენი მოსახლეობისთვის თავისუფალი იყო და მას ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა ესწრებოდა. რედაქცია დაინტერესდა და კითხვებით მივმართეთ ზოგიერთ მათგანს: **ზოგადად რა აზრის ხართ აღნიშნულ ღონისძიება-ლექციაზე, რა მნიშვნელობის არის ასეთი ტიპის ლექციები ჩვენი საზოგადოებისთვის? არის თუ არა საკმარისი დაინტერესება საზოგადოების მხრიდან?**

მაკა სულაშვილი, **ჟურნალისტი, საკრებულოს პრეს-მდივანი** - 24 ივლისს ილიაუნის დედოფლისწყაროს სასწავლო ბაზაში „National Geographic საქართველოს“ რედაქტორისა და არასამთავრობო ორგანიზაცია SEED-ის ხელმძღვანელის, ლევან ბუთხუზის ლექცია ,,ევროპა - მითები და რეალობა“ გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ არ მქონდა შესაძლებლობა ბუთხუზის ლექციას სრულად დავსწრებოდი, ზოგადი შთაბეჭდილებისთვის ჩემი საათნახევარიც საკმარისი აღმოჩნდა. ,,ევროპა - მითები და რეალობა“ იყო იმაზე, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირთან სიახლოვესა და მომავალში, რაღა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციის წევრობასაც. ლევან ბუთხუზმა ისაუბრა იმაზეც, თუ რა გზა გამოვიარეთ დღემდე და კიდევ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი ნაწილი გავხდეთ... ასევე, იმაზეც, თუ რა საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ევროპისგან ჩვენს სარწმუნოებას, კულტურას, ტრადიციებსა და ეროვნულობას. ლექცია ინფორმაციულად საკმაოდ მსუყეც იყო და თემატურადაც მრავალფეროვანი. ვფიქრობ, რომ დღეს, ისევე, როგორც გუშინ, რუსული იდეოლოგიური მანქანა ძალიან მონდომებით მუშაობს და ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს მცდარი წარმოდგენები ჰქონდეთ ევროკავშირზე. ადამიანების

(გაგრძელება გვ.5)

პროექტი ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველო“-ს დაფინანსებით

სასმელი წყლის სისუფთავისათვის

საჭიროა თუ არა მეორე რეზერვუარი?

ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს ქალების“ „ქალთა ფონდი საქართველის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის“ გრძელდება. 20 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაციამ კიდევ ერთი გასვლით ღონისძიება მოაწყო. ამჯერად „დედოფლისწყაროს ქალების“ წევრებმა და დამფუძნებლებმა გამგეობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გაერთიანებული წყალმომარაგების თანამშრომლებთან და საზოგადოების რიგით მოქალაქეებთან ერთად დედოფლისწყაროს მთავარ რეზერვუართან საველე ღონისძიება მოაწყო. ღონისძიება შეიცავდა დედოფლისწყაროს სასმელი წყლის რეზერვუარის და წყლის საქლორატორო აპარატის ადგილზე, სპეციალისტების თანდასწრებით, ნახვას. 600 ათას ტონიანი რეზერვუარშიე.წ. მაზოვკის წყლის წყალსაქაჩიდან დღე-ღამეში ათასობით კუბური მეტრი წყალი მიედინება და ავზის ტევადობის ერთი მეორედი 24 საათში გაედინება. აღსანიშნავია, რომ წყლის რეზერვუარი სარქველით იყო დაცული და ის საკმაოდ სუფთად გამოიყურებოდა. სუფთად და მოწესრიგებულად იყო დაცული წყლის საქლორატორო ოთახი, მთლიანი შენობა- ნაგებობა და რეზერვუარის გარშემო ტერიტორია.

აქვე, საველე პირობებში გაიმართა საინტერესო დისკუსია. საკითხი შეეხო ყველაზე აქტუალურ თემას, კერძოდ, სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და ქალაქისთვის ზაფხულის პირობებში წყლის 24 საათიან რეჟიმში უწყვეტ მიწოდებას.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმმა გივი პოპიაშვილმა აღნიშნა: “იმისთვის, რომ დედოფლისწყაროს წყლის ხარისხის სტანდარტი შესაბამისობაში მოვიდეს ნორმებთან და ის ყველა წესის დაცვით მიეწოდოს მოსახლეობას, მისი სურვილია, რომ მთავარ რეზერვუართან ორი წყლის ავზი იყოს, ერთში შეგროვილი წყალი 24 საათი დაჯდეს, დაიწმინდოს, როგორც ამას სპეციალისტები უწოდებენ, წყალი მომწიფდეს, ხოლო მომწიფებული წყალი უკვე უნდა გადავიდეს მეორე რეზერვუარში, სადაც წყალი დაიქლორება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეწოდოს ქსელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყლის მიწოდება არ შეესაბამება სტანდარტის ნორმებს. ჩვენს შემთხვევაში მუშაობს მხოლოდ ერთი რეზერვუარი, ხოლო მეორე - ამორტიზებულია და მისი რესტავრაცია- აღგენის გარეშე მოხმარება შეუძლებელია. ბატონმა გივიმ გამოთქვა აზრი, რომ მეორე რეზერვუარი, რომელიც კომუნისტების დროის შემდეგ არ გამოყენებულა, აღდგეს და მოხდეს მისი გამოყენება წყლის მოსამწიფებლად, ორი რეზერვუარის ქონა კი უკვე საშუალებას მისცემს გაერთიანებულ წყალმომარაგებას, რომ წყალი ზაფხულის სეზონზეც უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის მანძილზე მიანოდოს მომხმარებელს.“

გავეცანით რა აღნიშნულ პრობლემას, „დედოფლისწყაროს ქალებმა“ წერილობით მივმართეთ როგორც ორგანიზაციის სახელით, ასევე დედოფლისწყაროს მოსახლეობის სახელით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გენერალურ დირექტორს ბატონ გიორგი კობერიძეს. წერილში ვითხოვდით, იქნებ მოხდეს მათ მიერ დედოფლისწყაროს ქოჩების მთის წყლის შემკრები ამორტიზებული რეზერვუარის შესწავლა და მისი აღდგენა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ჩვენი წერილის მიღება უკვე დაგვიდასტურა და ველოდებით მათგან პასუხს. იმედს ვიტოვებთ, ჩვენი მოთხოვნა და მიმართვა გარკვეულწილ შედეგს გამოიღებს.

გარდა ამისა, ა.ა.ი.პ. „დედოფლისწყაროს ქალები“ პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს „ქალთა ფონდი საქართველო“, იღებდა ვალდებულებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასმელი წყლის სისუფთავის ხარისხი და მისი მონიტორინგი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამგეობამ, რომელსაც მივმართეთ კითხვით, რამდენად ცნობდა სასმელი წყლების ხარისხს და რამდენად ინფორმირებული ჰყავდა ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა, აღმოჩნდა, რომ გამგეობა აბსოლუტურ ნდობას უცხადებდა არსებული წყლის ხარისხს, ვინაიდან ამ საკითხს არეგულირებს წყალმომარაგების კომპანია და ისინი იცავენ ყოველდღიურ რეჟიმში წყლის ხარისხის შესაბამის სტანდარტს.

ვინაიდან, მაღალი იყო მოსახლეობაში ეჭვი იმის თაობაზე, რომ ონკანებზე მოსული წყალი სასმელად არაა ვარგისი, ა.ა.ი.პ. „დედოფლისწყაროს ქალები“ არ დასჯერდა წყალმომარაგების კომპანიის ლაბორატორიულ კვლევებს და თავის თავზე აიღო ჩვენი სასმელი წყლების და წყაროების წყლების ანალიზის მონიტორინგი. მიზანი- მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია, შეესაბამება თუ არა დედოფლისწყაროს სასმელი წყალი შესაბამის ნორმებს. აღნიშნული მისიის შესრულებისთვის „დედოფლისწყაროს ქალებმა“ მიმართა სოფლის მეურნეობის სამმართველოს თბილისში, რომელიც გარემოს დაცვის სააგენტოს ცნობით, ვალდებული იყო ჩვენი წყლების სინჯების სრული ანალიზი მოეხდინა. სოფლის მეურნეობის სამმართველოში გვიპასუხეს, რომ მათ შეუძლიათ მოგვემსახურნენ და გადაგვამისამართეს მათსავე ფილიალ კომპანიაში -კახეთის რეგიონში, კერძოდ, ქალაქ გურჯაანში, რათა წყლის სინჯების 2 საათში ადგილზე ჩატანა მოგვესწრო. ქალაქ გურჯაანში „ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების წესების დაცვაზე ზედამხედველობის სამსახურში“ „დედოფლისწყაროს ქალებმა“ პირველად 15 მაისს, ხოლო მეორედ, გადამოწმების და დარწმუნების მიზნით, 21 ივნისს ჩაიტანა სამი სახეობის წყალი. კერძოდ, -ეგრეთ წოდებული “მაზოვკის” წყაროს წყალი, გამგეობის წინ შადრევანში მომდინარე სასმელი წყალი და სოფელ გამარჯვების „ობელისკთან“ მდებარე წყაროს წყალი. პირველ და მეორე ჯერზეც “მაზოვკის” წყაროს წყლის ორგანოლეპტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზის მონაცემები არ შეესაბამება სანიტარული წესების და ნორმების მოთხოვნებს, ხოლო გამარჯვების და გამგეობის წინ მდებარე წყლების ნიმუშების ხარისხი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

გაჩნდა კითხვა- თუკი “მაზოვკის” წყაროს წყალი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტს, მაშინ იგივე წყალი, რომლითაც მარაგდება დედოფლისწყაროს მთავარი რეზერვუარი და აქედან გამომდინარე, დედოფლისწყაროს მოსახლეობა, როგორ აღმოჩნდა ქსელში, ანუ გამგეობის წინ მომდინარე წყალი ხარისხიანი?!

„გურჯაანის ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების წესების დაცვაზე ზედამხედველობის სამსახურის “ ლაბორანტ-ექიმის ნანა ზირაქიშვილის თქმით, თუკი ეს ერთი და იგივე წყალია, დასაშვებია რეზერვუარში სხვა წყლების მარაგიც შეედინება, რომელიც ანეიტრალებს უხარისხო წყალს და აუმჯობესებს მის ხარისხს, ამავდროულად, ზირაქიშვილისვე ვარაუდით, რეზერვუარში ხდება წყლის დაჯდომა-მომწიფება და შემდეგ იგი დაქლორილი მიეწოდება ქსელს. ამდენად, წყალი ბევრად გაუმჯობესებული ხარისხით მიდის უკვე ქსელში, ვიდრე ის თავდაპირველად იყო. სწორედ ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, ერთი და იგივე წყალი ბუნებრივ მდგომარეობაში და დაქლორილ მდგომარეობაში სხვადასხვა შედეგს იძლეოდეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ რეჟიმში დედოფლისწყაროს სასმელი წყალი სპეციალური აპარატურით იქლორება, ორივე ჯერზე წყალში ქლორის შემცველობა არ აღმოჩნდა. თუმცა, ესეც შესაძლებელია, როდესაც მაღალი ალბათობით წყალში მეტი ბაქტერიაა, მისი დაქლორვის შემთხვევაში ქლორი მთლიანად შთაინთქმება ბაქტერიების გამო, მისი მოვალეობაც ხომ ესაა- მან შეასრულოს თავისი მისია და წყალი სტანდარტთან შესაბამისობაში მოიყვანოს.“-აცხადებს ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამმართველოს გურჯაანის ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფრთავების წესების დაცვაზე ზედამხედველობის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი ექიმი ნანა ზირაქიშვილი.

„დედოფლისწყაროს ქალები“ კი გამოთქვამს ვარაუდს, რომ “მაზოვკის” წყლის მიმდებარედ ჩამოედინება ნაკადული, რომელიც დამშრალია და მას ღიად მოჰყვება ქალაქის წყალანარიდების და ნარჩენების ნაწილი, რომელიც ჰაერშივე ატრიალებს არასასურველ სუნს და ცუდ შთაბეჭდილებას ქმნის გარემო პირობებზე. სავსებით დასაშვებია, რომ მაზოვკის წყარო, ქვედა ფენების გარდა, ზედაპირული ქანებიდან გამონადენი წყლითაც მარაგდება და ამიტომაცაა 1 მილილიტრ წყალში 20 კოლონიების წარმოქმნილი ბაქტერიების რაოდენობა.

აქვე გვინდა დავძინოთ, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, მაგრამ დედოფლისწყაროს მოსახლეობის საყურადღებოდ განვმეორდებით და შეგატყობინებთ, რომ 4 აპრილს გარემოს დაცვის საგენტოს მიერ წაღებული ე.წ. „ბურღის წყლის“ სინჯის ანალიზი, არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და ის არ შეესაბამებოდა სასმელი წყლის სტანდარტს. მასში არსებული სიხისტე, ნიტრატები და ნატრიტები ბევრად მაღალი შემცველობის გამოდგა, ვიდრე ნორმის ფარგლებით უნდა ყოფილიყო. ასევე გვაცნობეს, რომ ბურღის წყალი მართალია კირქვისგან თავისუფალია, მაგრამ ის შეიცავს მეტი რაოდენობის გოგირდს, რაც სიმსიმნური დაავადებისკენ მიდრეკილ ორგანიზმს ხელს უწყობს დაავადების განვითარებისკენ.

ლალი მეხრიშვილი

ევროპა – მითები და რეალობა

მეოთხე გვერდიდან

ნაწილთან ეს გამოსდით კიდეც. შედეგად, ისინი ფიქრობენ, რომ ევროპა დააკნინებს ჩვენს სულიერ თუ კულტურულ ღირებულებებს და გვაიძულებს, უარი ვთქვათ თვითმყოფადობაზე. არ დავიწყებ იმის ახსნას , თუ რატომ გვებღაუჭება ასე რუსეთი, რადგან საამისოდ იმდენი მიზეზი არსებობს, ჩამოთვლაც კი ერთი კომენტარისთვის მეტისმეტი გამოვა. თუმცა, ერთს მაინც ვიტყვი, სხვა თუ არაფერი (არადა, ბევრი რამ), რუსეთი ჩვენს გაშვებას იმიტომ არ დაუშვებს, რომ თავზე დანარჩენი ხუხულაც არ ჩამოექცეს. გაშვებული კავკასია კი არსებობის გაშვებულ შანსს ნიშნავს, რაც რუსეთის იმპერიალისტურმა რეჟიმმა კარგად იცის. ეს ჩემი აზრია და რომც არ მეთანხმებოდეთ, იმ ნაწილში მაინც დამეთანხმებით, რომ ჩვენს უმადურსა და მომხვეჭელ მეზობელს ,,გულიდან "' მოსაგლეჯად არ ვემეტებით. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ხელშეწყობით მზადდება ვიდეორგოლები თუ სხვა სახის საინფორმაციო მასალები, მაგრამ აღნიშნულ თემებზე ნებისმიერი სემინარი თუ დამატებითი განმარტება მაინც მნიშვნელოვანია. რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ უნდა გაიგოს სიმართლე ევროპაზე, რადგან ქვეყნის პოლიტიკური სადავეებიცა და ბედიც ხვალ სწორედ მათ ხელში აღმოჩნდება, და არა მხოლოდ ახალგაზდებმა. ეს ქვეყანა ყველასია და არავის უნდა ეგონოს, რომ ვინმე მათ ქართველობას ან მართლმადიდებლობას ართმევს. 90 წლის ბებოს არ უნდა ეშინოდეს, რომ ხვალ- ზეგ მის შვილთაშვილებს ვიღაც ევროპელი ,,ტიპები" ერთსქესიან ქორწინებას ან კათოლიკეობის მიღებას აიძულებენ... გამიხარდებოდა, თუ 24 ივლისის შეხვედრაზე გაცილებით დიდ აუდიტორიას ვნახავდი, ვიდრე რეალურად იყო და ვისურვებ, რომ ასეთი შინაარსის შეხვედრებმა ჩვენში პერმანენტული სახე მიიღოს . ამ მხრივ ხელისუფლებასთან ერთად არასამთავრობო სექტორმაც უნდა იაქტიუროს, რადგან ერთობლივი ძალისხმევით უკეთეს შედეგებს მივიღებთ, ერთსულოვნებიც ვიქნებით და შეკითხვაც -რუსეთი თუ ევროპა-აღარასოდეს დაისმება. ჩვენს ანჩხლ მეზობელს კი აღარასოდეს მიეცემა ჩვენს ქვეყანაში წყლის ამღვრევის საშუალება.

სალომე ნატროშვილი, **იურისტი, მრჩეველი** - საჯარო ლექციის შინაარსი იყო მითები და რეალობა ევროპაზე. ცხადია, მისი შინაარსი და მნიშვნელობა განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც საქართველო ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდგომ - ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციის აქტიურ პროცესში იმყოფება, რომლის კვალდაკვალ, აშკარად შეიმჩნევა დეზინფორმაციული ნაკადის გავრცელება ევროკავშირისა და ევროპული ინსტიტუტების დისკრედიტაციის მიზნით. ამ ფონზე, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დამახინჯებული, ცრუ და მავნებლური ინფორმაციის პარალელურად სწორი, ფაქტებსა და წყაროებზე დაფუძნებული, გადამოწმებადი ინფორმაციის გავრცელებას, იქნება ეს საჯარო ლექციების, კინოჩვენებების, ლიტერატურის გავრცელებისა თუ სხვადასხვა სწავლებების განხორციელების გზით. ჩემთვის, ერთი ჩვეულებრივი ადამიანისთვის, ეს ლექცია, ბუნებრივია, ძალიან საინტერესო იყო, თუმცა, გულდასაწყვეტი იყო დამსწრეთა სიმცირე და, ზოგადად, საზოგადოების გულგრილობა მსგავსი თემების მიმართ, ვინაიდან, ეს ინდიფერენტულობა, ჩემი აზრით, პრაქტიკულად, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი მომავლისა და პერსპექტივის მიმართ გამოჩენილი ინერტულობა.

თქვენს მკითხველს და პირადად თქვენც, გირჩევთ, არასდროს გამოტოვოთ მსგავსი შესაძლებლობები.

მასალა მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

გიორგი ჩახუნაშვილი – მშობლებმა შვილებს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გადაუღონ კარდიოგრამა

21-ე საუკუნეში, ახალი ტექნოლოგიებისა და სამედიცინო აპარატურის განვითარების გზაზე, კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ბავშვთა კარდილოგიური დაავადებები და ამ დაავადებების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობა. როგორც პედიატრი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი — გიორგი ჩახუნაშვილი აცხადებს, საქართველოში საკმაოდ ეფექტურად ხდება დროული დიაგნოსტირება, გვყავს გამოცდილი და კვალიფიციური კადრიც, თუმცა ზოგჯერ, ბავშვთა ქირურგიული პრობლემები, დაგვიანებული მკურნალობის გამო, სავალალო შედეგითაც შეიძლება დასრულდეს. გიორგი ჩახუნაშვილი დედოფლისწყაროში იმყოფებოდა და მან ლექცია წაიკითხა ბავშვთა კარდიოლოგიაში არსებულ პრობლემებზე. გაზეთი „შირაქი“ გთავაზობთ იმ ძირითად აქცენტებს, რომელზეც პედიატრმა ყურადღება გაამახვილა.

პედიატრის თქმით, მწვავე ვირუსების გადატანის შემდეგ ბავშვი სასწრაფოდ ექიმთან უნდა მივიყვანოთ. გიორგი ჩახუნაშვილი მშობლებს მოუწოდებს, რომ აუცილებლად გადაუღონ თავიანთ შვილებს წელიწადში ერთი კარდიოგრამა მაინც, რომელიც უფასოა და მისი შემცვლელელი დღევანდელ რეალობაში არ არსებობს.

როგორია სტატისტიკა საქართველოში ბავშვთა კარდიოლოგიურ დაავადებებთან დაკავშირებით?

სამწუხაროდ, ბავშვთა კარდიოლოგიურ დაავადებებთან დაკავშირებით ზუსტი სტატისტიკა არ გაგვაჩნია. არ ვიცი მიზეზი, თუმცა ფაქტია, რომ დიაგნოსტირება სრულყოფილად არ ხდება და შესაბამისად, არსებული სტატისტიკა არასრულფასოვანია.

დღეს, ბავშვთა კარდიოლოგიური სამსახური საქართველოში საკმაოდ ეფექტურად მუშაობს და წლების განმავლობაში წარმატებული ოპერაციებიც კეთდება.

კარდიოლოგია არ არის მხოლოდ კარდიოქირურგია, თერაპიასაც დიდი ნაწილი უკავია. როდესაც მსოფლიო კონგრესებზე დავდივარ, დიდ კარდიოლოგიურ კონგრესზე დაახლოებით, 3-5 პროცენტი პედიატრიულ კარდიოლოგიას უკავია და ამ 3-5 პროცენტშიც 90-95 პროცენტი კარდიოქირურგიულ პრობლემებზე, მის მკურნალობასა და პრევენციაზეა საუბარი.

ვთვლი, რომ ბავშვთა და თერაპიული კარდიოლოგიები საქართველოში ცუდად არ მუშაობენ. ბავშვთა კარდიოლოგიურ ჟურნალს 2007 წლიდან ვუშვებთ, მაშინ, როცა ის მსოფლიო არენაზე 2000 -იან წლებში გამოჩნდა. ასე რომ, ამ მხრივ საქართველო სხვაზე უკან არ არის, თუმცა, იმ კარდიოლოგიურ ჟურნალებშიც დიდი პროცენტი ქირურგიულ კარდიოლოგიაზეა საუბარი. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები, რომ ერთმა ექიმმა გასინჯოს 80 წლის ადამიანი და ერთი თვის ბავშვი.

1992 წელს, როცა ბავშვთა კარდიოლოგიური ასოციაცია შევქმენით, შეთანხმება მოხდა დიდ კარდილოგებთან, რომ საქართველოში 30-40 წელი უნდა ყოფილყო ბავშვთა კარდიორევმატოლოგია, რათა განვითარებულიყო ეს სფერო. აქედან გამომდინარე, დღევანდელი სტატისტიკა სრულყოფილი არ არის და ჩვენ მას ვერ დავეყრდნობით. რევმატოლიგიაში შეიძლება არსებობდეს ზუსტი სტატისტიკა, თუმცა ესეც საეჭვოა. გვყავს კარგი სპეციალისტები და იმედია, მომავალში უკეთ განვითარდება ეს სფერო.

რა კლინიკური ნიშნები ახასიათებს ბავშვთა კარდიოლოგიურ დაავადებებს?

ახლა ვირუსების სეზონია და შესაბამისად, ხშირია ენტერო-ვირუსები და ნაწლავური ინფექციები. ამ ვირუსებმა, გადატანის შემდეგ, შესაძლოა, გულის კუნთი დააზიანოს. მძიმე ვირუსის შემდეგ ბავშვს აუცილებლად კარდიოგრამა უნდა გადავუღოთ. ამასთან ერთად, მშობელი ყოველთვის შეამჩნევს იმ ცვლილებებს, რომლებიც ვირუსებმა გამოიწვია: ამ დროს მოზარდი ასუსტებს დატვირთვას, უფრო მეტად თამაშობს ჩაცუცქული, თუ მანამდე თავდამსხმელი იყო, ახლა მეკარეა და ა.შ. ზოგჯერ, ბავშვს გული აქვს აჩქარებული, ემართება ციანოზი და ტუჩები ულურჯდება.

რა გამოკვლევებია საჭირო, იმისთვის რომ არ გამოგვეპაროს კარდიოლოგური დაავადებები?

ექიმმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება შუილს. 3 და 5 წლის ბავშვს გულის თანდაყოლილი მანკი არ უნდა ჰქონდეს. გულის კუნთის შუილის შემთხვევაში აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ ბავშვი კარდიოლოგს და კარდიოგრამა თვითონ გვიჩვენებს ცვლილებებს. ჩვენთვისაც და სახელმწიფოსთვისაც ბავშვის ჯანმრთელობა უნდა იყოს პრიორიტეტი.

არ შემიძლია, არ შევეხო ჯანმრთელ ბავშვებს. დღესდღეობით, საქართველოში დაახლოებით, 200 000 — დან 300 000 -მდე ბავშვი დადის სპორტზე.

მინდა მშობლებს ვთხოვო და მოვუწოდო, რომ გადავუღოთ ბავშვს წელიწადში ერთი კარდიოგრამა მაინც, რომელიც უფასოა და ეს კარდიოგრამა თვითონ დაალაგებს ყველაფერს თავის ადგილას. 5 და 6 წლის ბავშვს კარდიოგრამა რომ არ აქვს გადაღებული, იმ ბავშვის მშობელს საერთოდ როგორ სძინავს?!

სპორტით დაკავებულ ბავშვებს ორჯერ მაინც უნდა გამოვუკვლიოთ სისხლი და გადავუღოთ კარდიოგრამა, რადგან სპორტული დატვირთვა ბავშვის ჯანმრთელობაზე ძალიან მოქმედებს. სპორტი აუცილებელია, თუმცა მას მტრად ნუ გადავაქცევთ. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ნორმალური დატვირთვა, რეჟიმი და კვება, თუმცა რეალურად, სტატისტიკურად, ძალიან ცოტა ბავშვს აქვს კვება მონესრიგებული და კარდიოგრამა გადაღებული. რა უფლება აქვს მშობელს, ან პედაგოგს, რომ ბავშვის უფლებები შელახონ? ის უნდა იყოს ყველანაირად დაცული.

თანამედროვე მედიცინაში აუცილებელია მედიცინის, განათლებისა და სპორტის ერთიანი მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინ ვერ წავალთ..

არსებობს სტატისტიკა, გუტეინტერვალის გახანგრძლივება ანუ უეცარი სიკვდილი, რაც ევროპაში დაახლოებით, ორი ათეული წლის წინ დაარსდა და თუ ეს დაავადება იქ არის გავრცელებული, ჩვენთანაც ხომ იქნება?!

ამ ბოლო დროს კარგი ტენდენცია შემოვიდა, 100- 150 და მეტ სკოლაში ჰყავთ ექიმები, თუმცა ესეც ძალიან ცოტაა და იმედია, მომავალში ყველა სკოლას ეყოლება.

რამდენად სწორად დგას საქართველოში დროული დიაგნოსტირების საკითხი?

ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს წარმატებული კლინიკები, რომლებიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ, კარდიოგრამა და ეხოც კარგად იშიფრება. შესაბამისად, თუ მშობელმა დროულად მიიყვანა ბავშვი ექიმთან, დიაგნოზს მარტივად დაუსვამენ.

არის თუ არა სხვა დაავადებები გულის დაავადებების გამომწვევი?

ყველა არსებული დაავადება შეიძლება გართულდეს, მაგ: ბრონხოპლევმონია, ფილტვის დაავადებები. ზოგჯერ ბავშვი საკუთარ თავში ცვლილებებს ვერ ატყობს, მაგრამ მოზრდილობაში ემართება გიპერტენზია, ინფაქტი. ეს ყველაფერი ჩაკირული ვულკანია და კაცმა არ იცის, როდის იფეთქებს. ჩვენ ბევრი უნდა გავისარჯოთ, რომ ჯანსაღად მივიყვანოთ მოზარდი 18 წლამდე.

თუ ბავშვს ყურებში შუილი და ციანოზი აქვს, ან ორივე ერთად, ეს რამდენად საგანგაშოა?

თუ ბავშვს ციანოზი აქვს და ტუჩ-კბილის არეში სილურჯეები შეენიშნება, ეს, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული, მაგრამ რაც უფრო პატარაა ბავშვი, უფრო მეტი ყურადღება სჭირდება, შეიძლება ეს მარტო გულმა არ გამოიწვიოს. ამიტომ, უნდა გამოვიკვლიოთ და უნდა ვაჩვენოთ პატარა ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგს.

სხვათა შორის, კარდიოლოგია და კარდიო-რევმატოლოგია ხშირად ეშლებათ ერთმანეთში. ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგი ემოციურად თერაპევტს გულისხმობს. როდესაც ბავშვს კარდიო-ქირურგიული პრობლემა აქვს და ოპერაციას გაუკეთებენ, შემდგომ ისევ კარდიო-რევმატოლოგთან უნდა მიიყვანონ, რადგან ნაოპერაციებელს პარკუჭები აქვს გადატვირთული და ისევ პედიატრს უნდა დაუბრუნდეს.

იძლევა თუ არა დღევანდელი ოპერაციები იმის გარანტიას, რომ ღრმა მოხუცებულობამდე ჯანსაღი გული გვეძნება?

ამის გარანტიას ვერავინ მოგვცემს, თუმცა დროული დიაგნოზით შევძლებთ თავიდან ავიცილოთ კარდიოლოგიური პრობლემები. ამას წინათ 6 წლის ბავშვს აღმოვუჩინე გულის მანკი, რომელიც ოპერაციის შემდეგ დაუბრუნდა თავის ცხოვრებას და კარგად არის.

ოპერაციის გარეშე თუ შეიძლება გულის განკურნება?

გულის თანდაყოლილი მანკის განკურნება ოპერაციის გარეშე შეუძლებელია, თუმცა დღევანელ რეალობაში ეს ოპერაციები შედარებით გაიოლებულია.

რა არის ბავშვთა კარდიოლოგიური დაავადებების პრევენცია?

ბავშვთა კარდიოლოგიური დაავადებების პრევენცია ექიმთან დროული ვიზიტია.

სამომავლო გეგმები...

გეგმები ძალიან ბევრი გვაქვს. დაახლოებით ერთ წელიწადში გვექნება საპრევენციო -სადიაგნოსტიკო ტესტი, რომელიც საკმაოდ დახვეწილი იქნება. ეს აპარატურა რისკ-ჯგუფების დროულად გამოვლენის საშუალებას მოგვცემს. ვთანამშრომლობთ უცხოელ სპეციალისტებთანაც და მინდა აღვნიშნო, რომ ისინიც ბევრს სწავლობენ ჩვენგან.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

დედოფლისწყარო C ჰეპატიტის რისკის ზონაში შედის

28 ივლისი ჰეპატიტის მსოფლიო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში ბევრი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის უფასო სკრინინგი დედოფლისწყაროში C ჰეპატიტი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო-სოციალური პრობლემაა. ინფიცირებულთა რიცხვი 150-200 მილიონს აღწევს. მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 1-3 მილიონი ადამიანი ინფიცირდება. ქრონიკული ჰეპატიტი ინფიცირებულთა 75-85%-ს უვითარდება.

მსოფლიოში დაახლოებით 325 მლნ ადამიანს აქვს B და C ჰეპატიტების ქრონიკული ფორმა. 20 ინფიცირებულიდან მხოლოდ ერთმა იცის, რომ ვირუსული ჰეპატიტის მატარებელი. საქართველოში კი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯამნრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ქრონიკული C ჰეპატიტი ზრდასრული მოსახლეობის 5,4%-ს – 150 ათასამდე ადამიანს აქვს. ამათგან 100 000-ზე მეტმა ადამიანმა კი, ჯერ კიდევ არ იცის, რომ ინფიცირებულია.

საქართველოში აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა 2015 წლის აპრილში დაიწყო. ამ დრომდე, სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას 43 ათასზე მეტმა პაციენტმა მიმართა, დაახლოებით 40 ათასი ჩაერთო მკურნალობაში, 31 840 პაციენტმა კი დაასრულა მკურნალობის კურსი.

ამავდროულად, ინფექციის მატარებელთა გამოვლენის მიზნით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და მის რეგიონულ განყოფილებებში უფასო სკრინინგი მიმდინარეობს.

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, 25 ივლისს ჩატარდა უფასო ლაბორატორიული გამოკვლევები დედოფლისწყაროს მოსახლეობისთვის. აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო, მსურველთა რიგებიც იდგა. როგორც დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგმა ლალი ალადაშვილმა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას განაცხადა, „ უფასო სკრინინგში მონაწილეობა მიიღო 99-მა ადამიანმა, აქედან 9 ადამიანს ჰქონდა დადებითი პასუხი. ეს პაციენტები გავგზავნეთ დიაგნოსტირების ცენტრში დამატებითი გამოკვლევებისთვის, თუ დაუდასტურდებათ დიაგნოზი, მაშინ ისინი ჩაებმებიან მკურნალობის პროგრამაში".

ჩვენი რაიონი შედის C ჰეპატიტის გავრცელების რისკის ზონაში, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ დედოფლისწყაროში კვლავ ჩატარდეს უფასო სკრინინგი. ამის შესახებ მოსახლეობას წინასწარ ვაცნობებთ".

2017 წელს ჰეპატიტების მსოფლიო ალიანსმა დააარსა პროგრამა NOhep Visionaries, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს ცნობიერების ამაღლებისა და მსოფლიოში ელიმინაციის მისაღწევად საჭირო მიდგომების შემუშავების მიზნით აერთიანებს. C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის გაწეული შრომისთვის ჰეპატიტების მსოფლიო ალიანსმა პროგრამის მონაწილედ საქართველო, როგორც სხვა ქვეყნებისთვის სანიმუშო და მისაბაძი მაგალითი წარადგინა.

ინგა შიოლაშვილი

შირაქის სკივრი

1947 წლის ივლისი

○ SOF. CLUNKAANIS KOLMEURNEOBASI KARG MZRUNVELOBAS ICENEN SAMAMULO OMSI DARUPUL MEOMARTA DA WITELARMIELTA XELMOKLE OJAXEBISADMI. KOLMEURNEOBAM ARSAZRDELAD AIYVANA FRONTZE DARUPULTA 3 BAVSVI, ISINI UZRUNVELYO FILNI ARIAN BINIT, CACMA-DAXURVITA DA SAUKETESO KVEBIT. ASEVE SAM XELMOKLE OJAXS DAEXMARA BAVSVEBISTVIS SASOFLO SAMEURNEO PRODUQTEBIT MOMARAGEBASI.

○ SAQNAVTIS WITELWYAROS KANTORIS AGUR-KRAMITIS QARXNIS MUSEBI WARMATEBIT IBRZVIAN DIDI OQTOMBRIS REVOLUCIIS 30 WLISTAVISADMI MIZRVNIL SOCIALISTUR SEJIBREBASI NAKISRI VALDEBULEBEBIS GANARDEBISTVIS. KOMUNISTI V. SNAGARIOVI SAM MOTORS AMUSAVEBS DA SAWARMOO DAVALEBAS YOVELTVIURAD 150%-IT ASRULEBS. MEYALIBE ELENA CIPINOVAM GASULI TVIS SAMUSAO GEGMA 200 %-IT SEASRULA, XOLO MAISSI 150%.

○ WITELWYAROS RAIKOMIS PARTKABINETSI CATARDA RAIONULI TATBIRI. ARINISNA, ROM RAIONIS PIRVELADMA PARTIULMA ORGANIZACIEBMA KARGAD MOAWYVES MTAVROBIS MIREBULI RONISZIEBEBIS SESWAVLIS SAQME. KOLMEURNEOBEBSA DA MTS-EBSI MSROMELEBI GULMODGINED SWAVLOBEN SAMAMULO OMISSEMDGOMI XUTWLEDIS GEGMASA DA SOFLIS MEURNEOBIS ARMAVLOBIS RONISZIEBEBS. PARTORGANIZACIEBMA MIIRES DAVALEBEBI DARAZMON MTELI AQTIVI, RATA WARMATEBIT SESRULDES GEGMEBI DA UDANAKARGOD AIRON MOSAVALI.

○ MRAVALTIRAJIANI GAZETEBI MINDVRAD AR MIAQVT, RIS GAMOC MSROMELEBI MOKLEBULNI ARIAN GAZETEBIS KITXVAS DA CVENI QVEYNIS AXAL INFORMACIAS. ARC AGITKOLEQTIVIS XELMZRVANELEBI AR MIDIAN MINDVRAD AGITATOREBTAN DA AR UWEVEN MAT DAXMAREBAS.

○ WITELWYAROS SAMANQANO-SATRAQTORO SADGURTAN ARSEBULMA KOMKAVSIRULMA ORGANIZACIAM YURADREBA MIAQCIA SAAGITACIO MUSAOBIS GAUMJOBESEBAS. DAMATEBIT GAMOIYO 10 AGITATORI, MAT SAVELE GAZETEBIS GAMOSVEBA DAEVALAT. GARDA AMISA, KOMKAVSIRIS ORGANIZACIAM, GAMOHYO ORI GARDAMAVALI WITELI DROSA, ROMELTA GADACEMA MOXDEBA YOVELDRIURAD MOSAVLIS AREBISAS, MACVENEBLEBIS MIXEDVIT.

1959 წლის ივლისი

○ WITELWYAROS RAIKOOPERATIVIS GAMGEOBAM RAIONIS MINDVREBZE MASIUR GASVLASTAN DAKAVSIREBIT GADAWYVITA GAAZLIEROS SAVAWRO MOMSAXUREBA IQ, SADAC WYDEBA SVIDWLEDIS PIRVELI WLIS MOSAVLIS BEDI. AMITOM AVTOMOZRAVI MARAZIA MOAMARAGA SAWIRO SAMREWVELO SAQONLITA DA SURSATIT. MOZRAVI MARAZIA YOVELDRE MIDIS MEMINDVREOBIS BRIGADEBSI DA MECXOVELEOBIS FERMEBSI. MSROMELEBI MOZRAVI MARAZIIS GAMOCENAS SIXARULIT ELIAN.

○ WITELWYAROS KIRIS QARXNIS KOLEQTIVI AXAL SROMIT VAXTZE DADGA DA MUSATA SORIS FARTOD GASALA SOCIALISTURI SEJIBREBA. GEGMA 100%-IT SEASRULA DA PRODUQCIIS TVITRIREBULEBA 5%-IT SEAMCIRA. DAZOGA DA SVIDWLEDIS FONDSI SEITANA 85 000 MAN. QVIS MNGREVELMA DIMITRI SIMONIZEM 6 TVIS GEGMA 200%-IT SEASRULA. IVLISIS BOLOSTVIS KIRIS QARXANA 200 000 MANETIS ZEGEGMIUR PRODUQCIAS GAMOUSVEBS.

1979 წლის ივლისი

○ TURISTULI MATAREBELI `KAXETI~ GEPATIJEBAT MARSRUTZE: TELAVI-XARKOVI-KIEVI-MINSKI-VILNIUSI-KALININGRADI-RIGA-PSKOVI-LENINGRADI-ROSTOVI-TELAVI. SAGZURIS RIREBULEBAA 160 MANETI. XOLO, WLIS BOLOS, DEKEMBERSI MOEWYOBA MARSRUTI TELAVI-POLTAVA-KIEVI-GOMELI-VILNIUSI-KAUNASI-KALININGRADI-RIGA-TALINI-LENINGRADI-ROSTOVI-TELAVI. RIREBULEBA 170 MAN. SAGZURSI SEDIS MGZAVROBA NAXEVRADRBILI KUPIREBULI VAGONEBIT, KVEBA DA SAEQSKURSIO MOMSAXUREBA CAMOTVLIL QALAQEBSI.

○ WITELWYAROS RKINIGZIS VAGZALI GAREMONTDA. BOLO XANS AXLIT SEICVALA VAGONEBI, GAIZARDA MOZRAOBIS SICQARE, RAMAC METI MGZAVRI MOIZIDA DA GEGMA GADAWARBEBIT SEASRULA. DAMSVENDA VAGZLIS EZO, BAQANI DA SEMOGARENI. PERONZE WYLIS DASALEVAD DGAS SADREVANI, MAGRAM XSIRAD SEWYVETILIA.

○ WITELWYAROSI STUMRAD MOMAVALMA MGZAVRMA QALAQSI SESVLAMDE UNDA GAMOIAROS CENTRALURI GZA, SADAC RVINIS QARXNIS EZO, RAIKOOPERATIVIS SASENMASALATA MARAZIA DA `SAQSAXKOMSOFLTEQNIKIS~ GAERTIANEBAA GANLAGEBULI. AQ ISETI UWESRIGOBAA, ROM KACS GUNEBAS GAUFUWEBS. RASTABEWDILEBA UNDA DARCES STUMARS CVENZE? BALAXEBSI GAFANTULIA RKINABETONIS FILEBIS NAMTVREVEBI DA ATASGVARI NARCENI. MWYOBRIDAN GAMOSULI DANADGAREBI DA IARAREBIS NAWILEBI, ATASI XARA-XURAYRIA. TAVIS DROZE ROM GAETIBAT RVINIS QARXNIS MIMDEBARE TERITORIA, TIVASAC DAAMZADEBDNEN DA AMXELA BALAXIC ARMOEDEBODA. GAPARTAXEBULIA ASEVE YOFILI SATYEO MEURNEOBIS SENOBA DA KARMIDAMO. SANERGED GANKUTVNILI TERITORIA ISEA DANARIANEBULI, ROM NARS UFRO ADVILAD IPOVNIT, VIDRE NERGS. XELMZRVANELOBAM VERA DA VER UZRUNVELYO MISI WESRIGSI MOYVANA. IQVE QALAQIS SESASVLELSI -BEZINGASAMART SADGURTAN, SASADILOS MIMDEBARED BIRKA DA NAREKALIA. GANA ARSEIZLEBODA IQ MOMUSAVE DEVIVIT BIWEBSNAXEVARI SAATI GAMOENAXAT DA IQVE SAMBNARIS NACVLAD YVAVILEBI DAERGOT.

○ AMASWINAT, SOFEL MIRZAANSI TVITNASWAVLI MXATVRIS NAFUZVARZE GAIXSNA NIKO FIROSMANASVILIS SURATEBIS SAGAMOFENO SAEQSPIOZICIO DARBAZI. AMJAMAD GAMOFENILIA MXATVRIS ORIGINALEBI, ROMELSAC YOVELDRIURAD ASOBIT MNAXVELI HYAVS.

○ ZLIERI SETYVA DA NIARVARI DAATYDA WITELWYAROS. VENAXEBIS GARDA IORTELAWYLIS SARWYAVI SISTEMA DAZIANDA. RKINA BETONIS FILEBI RVARMA DAGLIJA. MTLIANAD WALEKA ZEMO MACXAANIS ASAMDE HEQTARI VENAXI. SETYVAM SAGRZNOBLAD DAAZIANA ARBOSIKIS VAKIS VENAXIC. ASETI ZLIERI STIQIA AQ JER AR GVINAXIAO AMBOBEN MACXAANELEBI DA ARBOSIKELEBI. JAMSI ARBOSIKIS 100, ZEMO MACXAANIS 20 HA VENAXI MIWASTANAA GASWOREBULI.

○ ZEMO QEDIS MEZROXEOBIS FERMIS # 10-E MOZVREBIS BRIGADIS BRIGADIRMA GIORGI MELIQISVILMA ASI KG KOMBINIREBULI SAKVEBI MOIPARA DA 3 LITRARAYZE GAUCVALA WITELWYAROS LENINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS WEVRS ISMAIL ALIORLIS. SAINTERESOA, RA UWIRDA MAS ISETI, ROM PIRUTYVS, UENO SAQONELSARYIS GULISTVIS SAKVEBI GAMOSWIRA? KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM GANIXILA MELIQISVILIS SAKITXI, MKACRAD SEARCXVINA DA GAATAVISUFLA SAMSAXURIDAN. IS MALI WARDGEBA MARTLMSAJULEBIS WINASE.

○ SOF. GAMARJVEBIS KOLMEURNEOBAS VEWVIET, GVAINTERESEBDA SEGVEMOWMEBINA MUSAOBA. AMXANAGEBI ADGILZE AR DAGVIXVDNEN. ESGASAGEBICAA MINDORSI IQNEBODNEN, MAGRAM YURADREBA MIIQCIA KEDLIS GAZETMA `KOLMEURNIS XMAM~, JER SINAARSI AR GVQONDA WAKITXULI, SORIDANVE CUDI STABEWDILEBA DATOVA DASVRILMA CARCOM DA MINAM. APRILIS NOMERI SEMOGVCQERODA, SAINTERESOA MIS SEMDEG RATOM AR GAMOUSVESGAZETI? ARC KANTORASI GVINAXAVS SAXARBIELI MDGOMAREOBA TVALSACINOEBEBIS MXRIVARCERTI LOZUNGI AR GAUKRAVT. CANS KOLMEURNEOBA DIDAD AR IWUXEBS TAVS.

○ ARXILOSKALOS KULTSAXLIS DIREQTORI AVTANDIL WIKLAURI BEVRS AKETEBS SAIMISOD, ROM MAYUREBELMA SEZLOS SIMSVIDESI NAXOS FILMI, MAGRAM ARIS SEMTXVEVEBI, ROM TAVAD DIREQTORI VERAXERXEBS DASWREBAS, MASIN KI SRULIAD SEUZLEBELIA FILMIS MOSMENA. ARIS GAUTAVEBELI LAPARAKI, RRIALI, STVENA, YVIRILI DA SKAMEBIS XMAURI. ASE IYO AXLAC, ROCA `DATA TUTASXIA~ GADIODA. KINOSI YOVELTVIS BEVRI MAYUREBELIA MAGRAM XSIRAD FILMS NAXEVRAD USVENEBRITAC SINAARSIS GAMOTANA WIRS DA UKMAYOFILO RCEBA MOSAXLEOBA.

(სტილი დაცულია)

მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა

კვირიკობა არბოშიკში

28 ივლისს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ სადღესასწაულო წირვა აღასრულა სოფ.არბოშიკის წმინდა კვირიკესა და ივლიტეს სახელობის ტაძარში. წირვის დასრულების შემდეგ მეუფე დიმიტრიმ გადაიხადა მიტროპოლიტ გიორგი ალადაშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელიც დასაფლავებულია ტაძრის ეზოში.

მადლიერება

ქ. დედოფლისწყაროს მეორე საშუალო სკოლის 1980 წელს კურსდამთავრებული XI^{ბ} კლასი, რომელშიც ჩემი შვილი ნანული მაჩაბლიშვილიც სწავლობდა, გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით, კარგი სწავლით, ურთიერთსიყვარულით და ახლაც არ გამკვირვებია მათი ყურადღება. როცა გაიგეს ჩემი შვილის ავადმყოფობა, მოვიდნენ სანახავად, გვერდში დაუდგნენ ჩემს შვილს ყოველნაირად - მორალურად და ეკონომიურადაც. მათმა მოსვლამ სტიმული მისცა და ცხოვრების ხალისი დაუბრუნა მას. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთანაკლასელებს, კლასის ხელმძღვანელს ელენე ჭუაძეს, ყველას, ვინც მოვიდა და ვინც ვერ მოვიდა რაღაც მიზეზების გამო, მაგრამ გაიზიარა ჩემი შვილის გასაჭირი.

დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვუხდი დიდ მადლობას: გია მენთეშაშვილს, გია თეიმურაზოვს, რეზო პოპიაშვილს, მიშიკო რობიტაშვილს, მარიკა პირზადოვას, ქეთინო მჭედლიშვილს, მანანა ყატაშვილს, ნანა ლაპიაშვილს და ლია ნატროშვილს. ჩვენო უსაყვარლესო შვილებო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და გისურვებთ, ცხოვრებაში სულ წინსვლა გქონდეთ ყოველგვარ საქმიანობაში.

ციცინო მაჩაბლიშვილი

იათამზე (ია) მაისურაძე

ბავშვობიდან გამორჩეული იყო ნიჭიერებით, გარეგნობით. ამ ღირსებებთან ერთად ის შემკული იყო დადებითი ადამიანური თვისებებითაც: იყო ძლიერი და თბილი ქალბატონი, მასთან ურთიერთობა დიდი სიამოვნება იყო. იყო კარგი დედა, მეუღლე...

ია, თავისი ნიჭის წყალობით, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იქვე დატოვეს და მისგან მშვენიერი ლექტორიც დადგა. სტუდენტებისთვის, კოლეგებისთვის ფასეული ადამიანი იყო... ყველასთან კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომაც განიცადა ბევრმა მისი გარდაცვალება ასე მტკივნეულად...

გემშვიდობებით, ია, შენი თანაკლასელები, ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

1969 წლის X^{2} კლასის კურსდამთავრებულები

და ნანა ლაპიაშვილი, მეუღლე ლია მაღლაკელიძე, შვილი ლუკა, ბიძაშვილები: ზურაბ, მაია, სოსო ლაპიაშვილები, მამიდაშვილები: ვალერი, გოჩა წულუკიძეები, მამიდა, დეიდა, დეიდაშვილები იუწყებიან

თამაზ ლაპიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 29 ივლისს, ქ. თბილისში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს, რომ საკრებულოს აპარატის თანამშრომელს, ნანა ლაპიაშვილს გარდაეცვალა ძმა

თამაზ ლაპიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე რობერტი, შვილები: ქეთინო, ეკა, ილია, რძალი ლელა ვარდიაშვილი, სიძეები: ნიკა დოდაშვილი, გიორგი მარქაროვი, შვილიშვილები: ვეკო, ანნა, დაჩი დოდაშვილები, ლუკა ლეკაშვილი, შვილთაშვილი ნიკო კილაძე იუწყებიან

მზია დემეტრაშვილ-ლეკაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 29 ივლისს, სოფელ სამრეკლოში.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ლაპიაშვილს ძმის

თამაზ ლაპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი, ზურაბ და მაგდა პოპიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

მზია დემეტრაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს-რობერტი ლეკაშვილს, შვილებს: ქეთინო, ეკა და ილიკო ლეკაშვილების ოჯახებს.

უახლოესი მეზობლები: იზოლდი პოპიაშვილი, ზაირა ალუღიშვილი, სეილან ლაპიაშვილი, ლამარა ბაიაშვილი, ომარ ყაჭაშვილი, დათო გონაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი, მარინა პოპიაშვილი, გია ალუღიშვილი, ზურაბ პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გულო, ზურიკო და ნოდარ პოპიაშვილებს

ნუგზარ პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ავთო, ლიანა, გიული, ელისო, ლია ხუციშვილები და ზაირა ხუციანიძე იუწყებიან

ზაურ წიკლაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: ეთერი, გივი, თამრიკო, ცისანა; რძალი მარინა ლობჟანიძე, სიძე ვასილ მენთეშაშვილი. შვილიშვილები: გიორგი, ეკა პაპაჩაშვილები, ლევან მენთეშაშვილი; რძლები: ქეთი ჯარმელაშვილი, ნატო თედორაშვილი, სიძე ალეკო მარუშაშვილი. შვილთაშვილები: ნიკოლოზ პაპაჩაშვილი, მარიამ და ბაჩანა მარუშაშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

კატო ალადაშვილი-პაპაჩაშვილი.

დაიკრძალა 29 ივლისს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო	ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ზემო მაჩხაანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ბაგა-ბაღის ძველი შენობა	52.01.32.008.	728,0 კვ.მ. (დაშენების ფართი148,6კვ.მ)	1300	10%	5%	100
2	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ზემო მაჩხაანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ვეტერინალური უბნის შენობა	52.01.33.008.	971,0 კვ.მ. (დაშენების ფართი 71,7კვ.მ)	1000	10%	5%	100
3	ქ. დედოფლისწყარო. ა. ნატროშვილის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.35.288.	194,0 კვ.მ.	1000	10%	5%	100
4	ქ. დედოფლისწყარო. მ. კოსტავას ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.34.132.	67,0 კვ.მ.	500	10%	5%	100
5	ქ. დედოფლისწყარო. რუსთაველის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.33.116.	150,0 კვ.მ.	800	10%	5%	100
6	ქ. დედოფლისწყარო. პრესის ქ. N60	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.31.174.	628,0 კვ.მ.	2800	10%	5%	100
7	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ზემო ქედი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.09.36.034.	600,0 კვ.მ.	1200	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, **გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.**

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში – GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა – TRESGE 22; კოდი – 300533390 (არასასოფლი-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი); კოდი-300533325 (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით); პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

ულოცავენ!

ბექა გონაშვილს! ნინო ბახტაძეს!

გილოცავთ მეორე შვილის - პატარა გიორგის დაბადებას. თავის პატარა ძამიკოსთან ბაჩუკისთან ერთად გაიზარდოს ჯანმრთელი, გონიერი და ღონიერ ვაჟკაცი **ბაჩუკი პაპასა** და **ლია ბებოს** გულის გასახარად და თქვენს საამაყოდ. გამრავლდით და იბედნიერეთ, უფალი გეწეოდეთ.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოცაციის სახელით:
ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, მარინა ღვინიაშვილი, მარინა ხარაშვილი, დიტო ყოჩიაშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი.

ბარბარე გორაშვილს!

დედას დიდო სიხარულო და ოცნებავ, ტკივილის დიდო მალამო, შენ უკვე სამი წლის გახდი, გილოცავთ დაბადების დღეს, ყოველი შენი დღე მზის სხივით იყოს გაბრწყინებული. გევლოს ლამაზი და ია ვარდებით მოფენილ გზაზე. გფარავდეს წმინდა ბარბარეს სალოცავი. შენი ბედის ვარსკვლავს სულ ებრწყინოს ცის კამარაზე.

დედა ნინო, **პაპა** ვისელი, **ბებო** მაყვალა, **ბიძა** შენგელი, **ბიცოლა** ნინო ბენაშვილი, **ბიძაშვილები**: მარიამ და სალომე გორაშვილები.

იყიდება!

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი აირით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ქა, რომელიც ზაფხულში არ შრება.

ასევე იყიდება სახნავ-სათესი ნაკვეთი შირაქში, ფართი 1 ჰექტარი.

ორივე ნაკვეთი გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდები 52.06.37.039 და 52.21.31.018.

სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 20,000 ლარი.

სახნავ-სათესი ნაკვეთის (1ჰა) ფასი - 1000 ლარი

☎599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ მოპირდაპირედ.

☎591 80-35-13

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 31.07		სამშაბათი 01.08		ოთხშაბათი 02.08		ხუთშაბათი 03.08		პარასკევი 04.08		შაბათი 05.08		კვირა 06.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	27 °	26 °	27 °	26 °	26 °	25 °	26 °	25 °	27 °	26 °	27 °	26 °	28 °	27 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.